12.12.18

ვ. მაჭავარიანი. ასევე მნიშვნელოვანია, არ დაგვავიწყდეს, იძულებით გადაადგილებული პირები და მათი მხარდაჭერისთვის გათვალისწინებულია 50 მლნ ლარი, რომლის ფარგლებშიც იგეგმება მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. ასევე მინდა ვთქვა, რომ ჯანდაცვის სამინისტროში ამასთან ერთად არის კომპონენტი დაახლოებით ერთი მაგდენი და ჯამში იძულებით გადაადგილებულ პირთათვის გამოყოფილი იქნება 108 მლნ ლარამდე.

ვ. მაჭავარიანი. უსახლკაროების ნაწილში, ჩვენ წელს 45 მილიონი, გამოვყავით ლტოლვილებისთვის, და იძულებით გადაადგილებული პირებისთვის იმ წელს ორმაგდება 100 მილიონზე მეტი იქნება და ძალიან მწყდება გული, რომ ამ ინფორმაციამ ისე ჩაიარა, აი წლის ბოლომდე 45 მილიონი გამოვყავით უამრავი ბინა კეთდება და ისე ჩაიარა და აი შეიძლება სადღაც 7-მილიონიან თემაზე იყოს უამრავი საუბარი. და იმ წელს, რომ ვაორმაგებთ უპრეცედენტო რაოდენობა არის ჩვენი დევნილებისთვის გამოყოფილი და ვითომც არაფერი. მე იმას არ ვამბობ, რომ ჩვენ იმათგან არაფერი არ გვაქვს სამადლობელი იმათთან ვალში ვართ, მაგრამ ხომ შეიძლება, რომ სხვა პოლიტიკოსებმა აღნიშნონ მაინც ხომ ეს პენიტენცია.

ასლის
დამოწმებისათვის

ი.სესიაშვილი. მე მინდა ასევე გითხრათ, შევეხო იმ საკითხს, რომელიც შეეხება სამხედრო მოსამსახურეების ბინებით უზრუნველყოფას. სამწუხაროდ, წინასაარჩევნოდ დეზინფორმაცია ვრცელდებოდა პოლიტირიზებული ტელევიზიების მხრიდან. თქვენ იცით, რომ 2007-2009 წლებში თავდაცვის სამინისტრომ აიღო ვალდებულება, რომ სამხედრო მოსამსახურეებს უფასოდ ბინებს გადასცემდა. 2012 წლამდე გაიცა მხოლოდ და მხოლოდ 216 ბინა, საიდანაც გარკვეული ნაწილი, სანამ ჩვენი პარტია ხელისუფლებაში მოვიდოდა არცკი იყო გაფორმებული ეს ბინები და 2012 წლიდან დღემდე უკვე თავდაცვის სამინისტროს მიერ გაცემულია 1634 სამხედრო მოსამსახურის ოჯახზე ბინა და შესაბამისად დარჩენილია ვალდებულება 733 სამხედრო მოსამსახურეზე, რომელიც 2020 წლისთვის სრულებით დაკმაყოფილდება.

რ.გოცირიძე. რაც შეეხება ბიუჯეტის სხვა მხარეს, 20-20 პროგრამით სახელმწიფო ვალი უნდა შემცირებულიყო. იზრდება საგარეო ვალი, იზრდება შიდა ვალი. საშინაო ვალმა მიაღწია უკვე 3 მილიარდს წლის ბოლოს და დაახლოებით 500 მილონით გაიზრდება მომავალ წელს. ასევე იზრდება საგარეო ვალი. ერთი თეთრიც რომ არ აიღოს ვალი, საგარეო ვალი, საქართველოს მთავრობამ, იმ შემთხვევაში თუ ლარი იყო აგვისტოში ერთი დოლარი 2,4 და ახლა არის 2,7 და მოხდა 10%-იანი გაუფასურება საერთოდ ვალი რომ არ ავიღოთ, საგარეო ვალი გაიზრდება 10%-ით და მერე ვიძახოთ, ლარი ჯანსაღად იქცევა, არა, ლარი მცურავი კურსითაა და ხან იქით იქნება ხან აქეთ. ნურას უკაცრავად, დღეს არის საქართველოს საგარეო ვალი მისული 20 მილიონ ლარამდე. საკმარისი ლარი გაუფასურდეს 10%-ით და

ასლის
დამოწმებისათვის

ვალიც რომ არ ავიღოთ 22 მილიონი ლარი იქნება, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გვაქვს შემოსავალი ლარებში, როგორც, ასე ვთქვათ, ჩვეულებრივ ადამიანებს, ხარჯები დოლარებში და ლარის გაუფასურების შემთხვევაში შემოსავალი რომც ჰქონდეს მეტი, თუნდაც მთლიანი შიდა პროდუქტი, რომ იზრდებოდეს და ბიუჯეტში მეტი შემოსავალი რომ შემოდიოდეს ეს ფული კი არ მოხმარდება სიღარიბის დაძლევას, სოციალურ პროგრამებს ან პენსიის ზრდას, ან ეკონომიკის განვითარებას, ეს მოხმარდება საგარეო ვალის გასტუმრებას, ამიტომ, ვინც ამბობს, რომ ლარის გაუფასურება ეს არის ჯანსაღი რეაგირება საგარეო შოკებზე მან არ იცის, რომ ლარის გაუფასურებას მიუძღვის ლომის წილი პურის ფასის ზრდაში. ახლა ვუსმენ ტელევიზიით ხელისუფლების წარმომადგენლების განმარტებებს, აი, იმიტომ გაიზარდა, რომ ფქვილის ფასი გაიზარდა მსოფლიო ბაზარზე. კი ბატონო, გაიზარდა, არის საგარეო ფაქტორიც, მაგრამ ლარი რომ გაუფასურდა, ფქვილი რომ შემოდის, 10%-ით რომ გაუფასურდა ლარი, ხორბალი რომ შემოდის, ყველაფერი რომ შემოდის რაც პურის წარმოებას სჭირდება, მარილი ან თუნდაც შესაფუთი მასალები, რომელიც ახლა აუცილებელი გახდა, ან კომუნალური ხარჯები რომ გაიზარდა, წყალი, ელექტროენერგია და ა.შ. და მერე ვამბობთ, რომ იცით, რა, პურის ფასი გაიზარდა იმის გამო, რომ სადღაც უცხოეთში მოუსავლიანობა იყო. ნურას უკაცრავად! ფინანსურად საგარეო ვალი იზრდება და ეს არის ძალიან ცუდი და სამწუხაროდ, თუ საგარეო ვალს როგორ ვიყენებთ, ამ ინფრასტრუქტურის მაგალითზე მოგიყევით. შემოსავლები არასტაბილურად იგეგმება. ძალიან კარგია, თუკი გადააჭარბებს, მაგრამ ნუ ამაყობთ, რომ ეს რაღაცით არის, თქვენი კარგი მუშაობით. ინფლაციის შედეგიც იყო და ლარის გაუფასურების. მაგრამ შემოსავლების მობილიზება უნდა ხდებოდეს დროულად და უნდა ვიცოდეთ ზუსტი პროგნოზი, რომ 28 დეკემბერს არ ხდებოდეს ნაჩქარევად 120 მლნ-ით იმის რა ჰქვია, ავტობუსების ყიდვა თბილისისათვის. მანამდე რომ დავფიქრებულიყავით, შესაძლებელია, ეს ფული სხვაგან დაგვეხარჯა, ან შეიძლება, თუნდაც, იგივე ავტობუსებში, მაგრამ არ უნდა იყოს ნაჩქარევად გადაწყვეტილებები მიღებული, როგორც ახლა ვაკეთებთ. ისევე, როგორც ხარჯების ნაწილში კვლავ არის უზარმაზარი ბიუროკრატიული ხარჯები, კვლავ იზრდება ხელფასები, აბსოლუტურად არ მცირდება ბიუროკრატია. ტყუილია, რომ 1500 კაცით მცირდება, ვინაიდან შტატგარეშედ გადაიყვანეთ უამრავი ადამიანი, სახელშეკრულებოდ, და ის არ ჩანს ამ ბიუჯეტში, ისევე,

ასლის
დამოწმებისათვის

როგორც ახლა პრეზიდენტს უნდა გაუთავისუფლონ პრეზიდენტის ადმინისტრაცია და ადმინისტრაციულ...

თავმჯდომარე. დაასრულებინეთ.

რ.გოცირიძე. ბიუჯეტში, ისევე, როგორც ახლა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში უნდათ ასამდე ადამიანის გადაყვანა ადმინისტრაციულ ხელშეკრულებაში და თუ შეიცვლება საჯარო მოხელე სახელშეკრულებო, ასე ვთქვათ, სტატუსით, თქვენ მერე ამ ბიუჯეტში ჩაწერთ, რომ, თურმე, 100 კაცით შემცირდა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში თანამშრომლები და თანამშრომლების რაოდენობას ამ გრაფაში ჩაწერთ ნულს. სინამდვილეში უზარმაზარი ბიუროკრატია არის შენარჩუნებული ყველა დონეზე. როგორც შემაჯამებელი სიტყვა, მე მინდა ვთქვა, რომ ეს ბიუჯეტი არ ემსახურება არც სიღარიბის დაძლევას, არც სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას და არ ემსახურება არც ეკონომიკურ ზრდას. გმადლობთ.

ასლის
დამოწმებისათვის